ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1421290

ნომერი: AR1240721

თარიღი : 30.07.2014

გაცემის თარიღი : 20.08.2014

გაცნობის თარიღი : 20.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომის I მ/რ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი I ნაკვეთი I;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.02.2014 წლის #1105004 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 30 ივლისს # AR1240721 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 03.02.2014 წლის #1105004 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.02.2014 წლის #1105004 ბრძანებით ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი I ნაკვეთი I, შპს ,,ტერა TERRA''–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.10.06.014.011) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა საერთო ფართობისა და მასში შემავალი ცალკეული ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 5465.94 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 5385.41 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 3357.87 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 3303.91 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართობი 442.3 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 419.22 კვ.მ.–ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 634.66 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 484,75 კვ.მ.–ს, ხოლო ავტოსადგომის ფართობი 318.49 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 464,91 კვ.მ.–ს.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელები შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.02.2014 წლის #1105004 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 5385.41 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს 3303.91 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 419.22 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 484,75 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 464,91 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.02.2014 წლის #1105004 ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.